

შპს „კასპიჯეო“ (ს/კ 205250235)

ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

1. შპს „კასპიჯეოს“ მონაცემები და საქმიანობის მიმოხილვა	3
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31/12/2024 მდგომარეობით	4
3. საქმიანობის შედეგების ანგარიშგება	5
4. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
5. კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	7
6. განმარტებითი შენიშვნები	8 - 11

შპს „კასპიჯეო“ მონაცემები და საქმიანობის მიმოხილვა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კასპიჯეო“ გადასახადის გადამხდელად დარეგისტრირებულია 2008 წლის 16 აპრილიდან და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 205250235. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასტუმრო-სარესტორნო სამზარეულოს აღჭურვილობის იმპორტი, ასევე მათი სამონტაჟო სამუშაოების შესრულება

შპს „კასპიჯეო“ იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ბოჭორმის ქუჩა 29

ხელმძღვანელობა-წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი გარატელ მამბაძე პ/ნ 01017038734, საქართველო.

საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორა

- გარატელ მამბაძე, პ/ნ 01017038734, საქართველოს მოქალაქე, წილი - 100%;

ფორმა N1 - ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება - 31/12/2024 მდგომარეობით

#	დასახელება	12/31/2024	12/31/2023
1	აქტივები		
2	მიმდინარე აქტივები		
3	ფული და ფულის ექვივალენტები	504,507	1,055,735
4	სავაჭრო მოთხოვნები	1,674,070	708,618
5	გადახდილი ავანსები		22,929
6	წინასწარ გადახდილი გადასახადები	35,825	
7	სასაქონლო მარაგები	2,469,296	2,496,621
8	სულ მიმდინარე აქტივები	4,683,697	4,283,903
9	გრძელვადიანი აქტივები		
10	ძირითადი საშუალებები	215,183	229,374
11	არამატერიალური აქტივები	4,449	4,449
12	სულ გრძელვადიანი აქტივები	219,632	233,824
13	სულ აქტივები	4,903,329	4,517,727
14	ვალდებულებები და კაპიტალი		
15	მიმდინარე ვალდებულებები		
16	სავაჭრო ვალდებულებები	(122,708)	(686,364)
17	სულ მიმდინარე ვალდებულებები	(122,708)	(686,364)
18	სულ ვალდებულებები	(122,708)	(686,364)
19	კაპიტალი		
20	საწესდებო კაპიტალი	(200)	(200)
21	გაუნაწილებელი მოგება	(4,780,421)	(3,831,163)
22	სულ კაპიტალი	(4,780,621)	(3,831,363)
23	სულ ვალდებულებები და კაპიტალი	(4,903,329)	(4,517,727)

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია
2025 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

/გარათელ მამუაძე/



მთავარი ბუღალტერი

/ზექა გეთიაშვილი/

ფორმა N2 - საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

#	დასახელება	საანგარიშო პერიოდი: 2024 წელი	საანგარიშო პერიოდი: 2023 წელი
1	ამონაგები	7,900,920	6,258,042
2	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(4,919,974)	(3,861,299)
3	საერთო მოგება	2,980,946	2,396,742
4	სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	(9,357)	(17,586)
5	პერსონალის ხარჯები	(1,343,970)	(1,031,232)
6	იჯარის ხარჯი	(74,339)	(75,535)
7	კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი	(25,599)	(22,157)
8	ტრანსპორტირების და მიწოდების სხვა ხარჯი	(49,295)	(44,094)
9	ცვეთა და ამორტიზაცია	(22,002)	(24,111)
10	ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(82,703)	(58,381)
11	საოპერაციო ხარჯები სულ	(1,607,266)	(1,273,095)
12	საოპერაციო მოგება	1,373,681	1,123,647
13	წმინდა მოგება/ზარალი უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	(27,397)	(89,127)
14	მოგება/ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	1,346,283	1,034,520
15	მოგების გადასახადი	(59,675)	(72,993)
16	წმინდა მოგება/ზარალი	1,286,609	961,527

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია
2025 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი /გარატელ მამუდოვა/

მთავარი ბუღალტერი  /ზექა გეთიაშვილი/



ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

#	დასახელება	საანგარიშო პერიოდი: 2024 წელი	საანგარიშო პერიოდი: 2023 წელი
1	ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
2	მყიდველებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	8,517,749	8,191,342
3	მომწოდებელზე გადახდილი ფულადი სახსრები	(5,901,364)	(4,985,726)
4	თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(1,022,968)	(767,840)
5	გადახდილი გადასახადები	(1,788,955)	(1,515,720)
6	გადახდილი პროცენტები		
7	წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(195,538)	922,056
8	ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
9	ძირითადი საშუალებების შეძენა	(7,811)	(6,176)
10	წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(7,811)	(6,176)
11	ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
12	ფულადი ნაკადები მიღებული სესხებიდან		
13	გადახდილი დივიდენდები	(320,482)	(393,706)
14	ფულადი ნაკადები გადახდილ სესხებში		
15	ფულისა და მისი ექვივალენტების ცვლილება (ზრდა, კლება)	(320,482)	(393,706)
16	ფული და მისი ექვივალენტები წლის დასაწყისში	1,055,735	622,688
17	საკურსო სხვაობის ეფექტი	(27,397)	(89,127)
18	ფული და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	504,507	1,055,735

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია
2025 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი /გარატელ მამმადოვა/

მთავარი ბუღალტერი  /ზეჩა გეთიაშვილი/




ფორმა N4 - კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

#	დასახელება	საწესდებო კაპიტალი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებე ლი მოგება / ზარალი	სხვა რეზერვებ ი	სულ საკუთარი კაპიტალი
1	ნაშთი 31/12/2023-სათვის	200		3,831,163		3,831,363
2	მოგება / ზარალი			1,286,609		1,286,609
3	სხვა სრული შემოსავალი					-
4	მთლიანი სრული შემოსავალი / ზარალი					-
5	დივიდენდების გამოცხადება			(337,350)		(337,350)
6	ნაშთი 31/12/2024-სათვის	200	-	4,780,421	-	4,780,621

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია
2025 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



/გარატელ მამუდოვა/

/ბექა გეთიაშვილი/

შპს „კასპიჯეო“, ს/კ 205250235.

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

1. ზოგადი ინფორმაცია

- 1.1. შპს „კასპიჯეო“ დაფუძნებულია მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2008 წლის 16 აპრილს.
- 1.2. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:
 - სასტუმრო-სარესტორნო სამზარეულოს იმპორტი, ასევე მათი სამონტაჟო სამუშაოების შესრულება;
 - სარეკლამო მასალების იმპორტი;
 - ნებისმიერი სხვა საქმიანობა, რომელიც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.
- 1.3. შპს „კასპიჯეო“ წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს.
- 1.4. შპს „კასპიჯეოს“ არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

- 2.1. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. საწარმოს მიერ 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება მეექვსედ.
- 2.2. კომპანია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და გააჩნია საქმიანობის გაგრძელების უნარი.
- 2.3. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, გარდა ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისისა.
- 2.4. საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღია 31.12.2024 წ. და მოიცავს 2024 წელს სრულად.

- 2.5. საწარმოს საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ლარი.
- 2.6. ანგარიშგებაში დაცულია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპები და ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები.
- 2.7. ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში მსს ფასს-ის გამოყენებით მიღწეულია ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის ფინანსური შედეგების და ფულადი სახსრების მოძრაობის სამართლიანი წარდგენა.
- 2.8. საწარმოს ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები ასახულია პირდაპირი მეთოდით.
- 2.9. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში, - ოპერაციის დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო საანგარიშგებო წლის ბოლოს არსებული ნაშთი - 31 დეკემბერს არსებული კურსით.
- 2.10. სავაჭრო ვალდებულებები (კრედიტორული და დებიტორული დავალიანებები) აღირიცხება იმ თანხით, რისი გადახდა ან მიღება მოუწევს კომპანიას. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ვალდებულებები გადაანგარიშდება ფულად ერთეულ ლარში, საკურსო სხვაობები აისახება მოგება-ზარალში.
- 2.11. სასაქონლო-მატერიალური მარაგები, საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, აღირიცხება უწყვეტი მეთოდის გამოყენებით და ფასდება თვითღირებულებით. მათი საბოლოო თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება FIFO მეთოდი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო აფასებს არსებობს თუ არა მარაგების გაუაფასურების ინდიკატორი. 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის არ მომხდარა სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუაფასურება.
- 2.12. მრავალჯერადი გამოყენების მცირეფასიანი ინსტრუმენტები და ინვენტარი, რომელთა სასარგებლო ეკონომიკური მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, აღიარებულია იმავე პერიოდის ხარჯად - როცა მოხდა მათი შეძენა.
- 2.13. ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება მათი თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ყველა ძირითადი საშუალება აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუაფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. ძირითადი საშუალებები დაყოფილია სამ

ჯგუფად: ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა საოფისე ინვენტარი, მანქანა დანადგარები და სხვა ინვენტარი. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადად განსაზღვრულია 6 წელი. საწარმო იყენებს ცვეთის დარიცხვის ნაშთთა შემცირების მეთოდს. საწარმო ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს აფასებს - არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების ინდიკატორი. გაუფასურების, გაყიდვის, ან სხვა ფორმით გასვლის შემთხვევაში, კეთდება შესაბამისი თანხების ასახვა მოგება-ზარალში.

2.14. არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება თვითღირებულებით. სასარგებლო მომსახურების ვადად განისაზღვრა 8 წელი. საწარმო ყოველი წლის ბოლოს აფასებს - არსებობს თუ არა გაუფასურების ინდიკატორები და საჭიროების შემთხვევაში ატარებს გაუფასურების ტესტს და აღიარებს გაუფასურების ზარალს. არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხება ძირითადი საშუალებების ანალოგიურად. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარებული არის მოგება-ზარალში.

2.15. საგადასახადო ვალდებულებების აღიარება ხდება საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსის შესაბამისად და აღირიცხება იმ თანხით, რომლის გადახდაც კომპანიას მოუწევს. მოგების გადასახადის გადახდა ხდება დივიდენდის გაცემის შემთხვევაში და ასევე კოდექსით განსაზღვრულ მოგების გადასახადით დასაბეგრ ოპერაციებზე.

2.16. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში - იმ პერიოდში, როდესაც გაწეული იქნა აღნიშნული დანახარჯი.

2.17. ჩვენი საწარმოს შემოსავალი განხილება, როგორც ამონაგები საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან. ამონაგების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, ამონაგები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამომუშავებული.

2.18. ხარჯების აღრიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდით და მიეკუთვნება იმ პერიოდს, როცა მოხდება მათი აღიარება. ხარჯები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

2.19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგებების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის,

მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

2.20. პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში და მათი ასახვა ხდება დამატებით განმარტებით შენიშვნებში. აღნიშნული არ ეხება იმ შემთხვევას, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა და შესაძლებელია ამ აქტივის სიდიდის საიმედოდ შეფასება.

2.21. პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში და მათი ასახვა ხდება დამატებით განმარტებით შენიშვნებში. აღნიშნული არ ეხება იმ შემთხვევას, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

"წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია

2025 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:"

დირექტორი



გარეგნულ მამმადოვა/

მთავარი ბუღალერტი

/ბექა გეთიაშვილი/